 პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფსაბჭოთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მაისი, კვირა. 1987 წ.
№ 101 (9512) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის ველორბოლა

უკვე ამპლერი და მისი გუნდი

მშვიდობის ველორბოლის ბოლოსწინა ეტაპს არც გუნდურ და არც პირად ჩაოვლაში არაფერი არ შეუცვლია. გდრ-ისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტები ფხიზლად „მეურვეობენ“ ერთმანეთს. ასეთი მდგომარეობა ხელს, ცხადია, გერმანელებს აძლევს. ისინი დაწინაურებული არიან გუნდურ და პირად პირველობაში.

ოღუშნიცა — ლოძის (184 კმ) მონაკვეთი გფრ-ის წარმომადგენელმა რემიგ შტუმფმა მოიგო. მან ზედ ფინიშთან გადაუსწრო ნორვეგიელ მორტენ სეტერსა და ჩეხოსლოვაკიელ ანტონ ნოვოსადს.

ბოლო ეტაპის წინ ლიდერობას უკვე ამპლერი და მისი გუნდი ინარჩუნებს.

საკავშირო ტურნირი

ბურევესტნიკი

ჩემპიონატი

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲛᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ

[illegible] ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲢᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲢᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲗᲐ — 120:84. ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲗᲐ — ᲒᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ — 104:78.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲗᲛᲝᲡᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ.

იხ. მე-4 გვ.

გაფართოებული სხდომა



როგორც ცნობილია, მოსწავლეთა საკავშირო სპორტიადის ნაცვლად, წელს პირველად ჩატარდება სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა უმასპინძლებს. ნორჩ სპორტსმენთა ამ დიდი ფორუმისთვის დიდი ხანია დაიწყო მზადება. რესპუბლიკის განათლების სამინისტროში და სპორტსახკომში შექმნილია საგანგებო შტაბები, რომელთა მუშაობას საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდნენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, საკავშირო სპორტსახკომის და სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებში მონაწილე სპორტული დელეგაციების წარმომადგენლები. 21 მაისს რესპუბლიკის სპორტსახკომში გაიმართა თამაშების მთავარ მსაჯთა კოლეგიისა და შტაბების გაფართოებული სხდომა. მოისმინეს ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც სპორტის ცალკეულ სახეობებში უნდა ჩატარდეს შეჯიბრებები, გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა. თათბირზე ხაზი გაუსვეს, რომ მიუხედავად სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალისა, ხობი გასაკუთრებული მონდომებით ემზადება ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაციის — 400 მოცურავის მისაღებად.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სტუმრების მიღება-დაბინავების, მათთან კულტურული და საშეფო მუშაობის, კვების, ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხები, იმსჯელეს თამაშების დებულების ირგვლივ. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს სპორტული ბაზები, საცხოვრებელი და კვების ობიექტები, შეხვდნენ სპორტსახკომისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს.



თავსაფები მაინც ბევრია

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ხაბარელი ფარული კენჭისყრით ერთხმულოვნად აირჩია კოლექტივმა.

● ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელობა საპატიო თანამდებობაა, გილოცავთ, შოთა.

— საპატიო და საპასუხისმგებლო. ქართველი გულშემატკივარი ძიუდოში ჩამორჩენას არ გაპატიებს. ეს კარგად ვიცი და ამიტომაც ვეცდები, [illegible] ხელისმგებლობით მოვეკიდო საქმეს.

● პირველ ყოვლისა რის გაკეთებას აპირებთ?

— ბოლო დროს საერთაშორისო სარბიელზე პოზიციები ერთგვარად დავთმეთ. ძველი სახელი უნდა დავიბრუნოთ.

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭადრაკო ზეიმი რესპუბლიკის მოედანზე

საქართველოს სპორტსახკომისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით, გუშინ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე პირველად მოეწყო ერთდროული მასობრივი საჭადრაკო სეანსი 700 დაფაზე. სპორტის ამ სახეობის მუყვარულებს საშუალება მიეცათ პირისპირ შეხვედროდნენ საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეებს ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ბუხუტი გურგენიძეს, თამაზ გიორგაძეს, ზურაბ სტურუას, აგრეთვე, თბილისში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს.

შესანიშნავად ორგანიზებული საჭადრაკო ფორუმები ნამდვილ ზეიმად იქცა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი ღონისძიება ტრადიციად იქცევა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

გუშინ...

თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის სამი მატჩი., აი, მისი შედეგები — თბილისის „ბურევესტნიკი“ — სპორტკლუბი „ტირასპოლი“ — 18:24, კიევის ახკ — ლენინგრადის „ნევა“ — 21:18, კრასნოდარის სკიფ-ი — კაუნასის „გრანიტასი“ — 23:23.

დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „გრანიტასი“ — „ტირასპოლი“, სკიფ-ი — „ნევა“; „ბურევესტნიკი“ — ახკ.



„ქართველი ბეისბოლისტი?—რეალურია!“

ერთი კვირის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა კუბის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი პროფესიონალი ბეისბოლისტი ხუან ვისტუერ ვალდესი. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და სთხოვა განემარტა, რა მიზანს ისახავდა მისი ვიზიტი.

— ჩემი მიზანი იყო ბეისბოლისთვის პოპულარიზაცია გამეწია თქვენს ქვეყანაში, შევხვედროდი ენთუზიასტებს და მესწავლებინა მათთვის ეს თამაში, შეჯიბრების ორგანიზაცია, მსაჯების მომზადება, თამაშის ტექნიკა, ტაქტიკა და სხვა ელემენტები. თბილისში ყოფნისას ჩავატარე რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა. გარდა ამისა, დავესწარი ქართველ ბეისბოლისტთა და თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ ნიკარაგუელ სტუდენტთა შეხვედრას.

— წარსულში ცნობილი პროფესიონალი ბეისბოლისტი ყოფილხართ...

— დიახ, კუბის რევოლუციამდე პროფესიონალი ვიყავი. თუმცა ვერ გეტყვით, რამდენად ცნობილი. ვთამაშობდი ამერიკის, ვენესუელის, ნიკარაგუას, მექსიკის გუნდებში. რევოლუციის შემდეგ საშობლოში დავბრუნდი, იმ პერიოდში ეროვნული სპორტის აღორძინებას ბავშვთა სექციების ჩამოყალიბებით ვიწყებდით. 1962-63 წლებში მოსკოვში მიმავლინეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— საქართველოში პირველად ხართ?

— პირველად ვარ, მაგრამ თქვენს რესპუბლიკაში ჩამოსვლა დიდი ხანია მინდოდა. იმ დროს, როცა კუბა კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობას განიცდიდა, თბილისიდან ჩამოვიდა მძლეოსნობის სპეციალისტი, შემდეგ ჩემი პედაგოგი, ვალერი ვაშაკიძე. ამჟამად იგი დოცენტია, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. კუბელმა სპეციალისტებმა კარგად იციან რა დიდი ღვაწლი დასდო ბატონმა ვალერიმ კუბის ეროვნული სპორტის განვითარების საქმეს. მან აღზარდა მწვრთნელთა ის თაობა, რომელიც ამჟამად ნაყოფიერად მუშაობს. სწორედ მისი მოწაფე წვრთნიდა პირველ კუბელ ოლიმპიურ ჩემპიონ ქალს შუბის ტყორცნაში მარია კოლონს.

— როგორ გესახებათ ქართველ ბეისბოლისტთა პერსპექტივები?

— ჩემი აზრით, ქართველებს აქვთ ყველა ის თვისება, რაც ბეისბოლისტს სჭირდება: სისწრაფე, მოქნილობა, სწრაფი აზროვნების უნარი. რაკი ენთუზიაზმსაც იჩენენ, ვფიქრობ, ისინი უახლოეს მომავალში საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მიღებასაც შეძლებენ.

ეხაუბრა **დიად ბერსამია.**

• • •

1965 წელს ქართველი სპეციალისტის ვალერი ვაშაკიძის თაოსნობით თავისუფლების კუნძულზე პირველი მძლეოსნური კრახი ჩატარდა. მარცხენა ფოტოზე ხედავთ ვალერი ვაშაკიძეს, რომელიც გამარჯვებას ულოცავს ახალგაზრდა კუბელ კროხმენებს.

გავიდა დრო და ვაშაკიძის ერთ-ერთი უფროსი შეგირდი, ხუან ვისტუერ ვალდესი საქართველოს ეწვია, რათა ქართველებისთვის ბეისბოლი ეხწავლებინა, ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს (მარჯვენა ფოტო: მარცხნივ ვ. ვაშაკიძე, მარჯვნივ ხ. ვალდესი), ამჯერად ბეისბოლის მოედანზე.

კვირიდან კვირამდე

„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲠᲝᲠᲢᲘ“. 17 მაისი. —ინგლისში დამთავრდა სასამართლო პროცესი, რომელზეც ფეხბურთის „გულშემატკივრები“ გასასამართლეს. ამის შესახებ მოგვითხრობს მ. დმიტრიევი წერილში „ჩიტების ეღუურტულიც და განწირულ მსხვერპლთა გოდებაც“. **19 მაისი** — როგორი უნდა იყოს „ფორმულა-1“-ის მრბოლელი — რისკიანი თუ თადარიგიანი? **20 მაისი** — „მე დავიღალე და მივდივარ“ — ამბობს ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი: „გაიღიმე, როცა გიჭირს“— ურჩევს ნორჩ ძიუდოისტებს ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონი ვლადიმერ ნევზოროვი. **23 მაისი** — „კეთილშობილური ქესტები თუ კეთილშობილური საქციელი“. გაზეთის სტუმრები არიან ფეხბურთის გულშემატკივრები.

„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲩᲔᲡᲙᲐᲘᲐ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ“. 19 მაისი — „...მე ჩვეულებრივი ახალგაზრდა ვარ...“ გვარწმუნებს საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი ლიდერი არვიდას საბონისი თავის ინტერვიუში „საბონისი სიმართლეს ამბობს“.

ინფორმაცია

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ოლიმპიური კომიტეტის 92-ე სესიაზე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია კანადელი რიჩარდ ჰაუნდია. კომიტეტის აღმასკომის წევრად — იაპონელი �იხარუ იგაია.

ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშები

კაპარჭინაზე...

ეს შეჯიბრებაც — ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში — ტრადიციულად, მდინარე კაპარჭინაზე, ჩვენი ნიჩბოსნების რესპუბლიკური შეჯიბრებების ძველ სარბიელზე გაიმართა. რესპუბლიკის სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზაზე საასპარეზოდ შეიკრიბა აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და მცხეთის 120 ნიჩბოსანი.

შეჯიბრება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა. განსაკუთრებით მეორე დღეს გაჭირდა. უეცრად ამოვარდნილმა ქარმა, ავდარმა და აქოჩრილმა კაპარჭინამ ნიჩბოსნებს რბოლის პირობები გაურთულა. ამას დაემატა ისიც, რომ სპორტსმენთა საცხოვრებლები (კემპინგები და „დინამოს“ ბაზა) ცუდად თბებოდა, ნიჩბოსნებს სპორტული ფორმის გაშრობის საშუალებაც არ ჰქონდათ. ასპარეზობისა და დასვენების არანორმალურმა პირობებმა, ცხადია, სპორტსმენთა შედეგებზეც იმოქმედა.

ბრძოლა ძირითადად თბილისის, ქუთაისისა და აფხაზეთის წარმომადგენელთა შორის გაიმართა. ეს გუნდები აშკარად სხვებზე უკეთ იყვნენ მომზადებული შეჯიბრებისთვის. შემთხვევითი არ იყო, რომ ყველაზე პრესტიჟულ, რვაადგილიანი ნავებით რბოლაში სწორედ ამ კოლექტივების წარმომადგენლებმა ისახელეს თავი. გოგონათა სტარტებში მხოლოდ თბილისის, ქუთაისის და აფხაზეთის ეკიპაჟებმა მოსინჯეს ძალა. დისტანციის ნახევარზე მეტი კარგად განვლეს თბილისელმა ნიჩბოსნებმა, მაგრამ ისინი მესაჭის დაბალი კვალიფიკაციის გამო ჩამორჩნენ და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. პირველი ადგილი დაიკავეს ვიტალი აბაზაძის აღსაზრდელმა ქუთაისელმა ნიჩბოსნებმა: თამარ თევდორაძემ, ნათელა გოქაძემ, მაია სილაგაძემ, მაგდა კუბლაშვილმა, ირმა ფხაკაძემ, სოფიო ცუცხვაშვილმა, ნანა ობოლაძემ, ტატიანა ჟორჟოლიანმა და სვეტლანა ვალკომ (მესაჭე). ჭაბუკთა 8-ადგილიანი ნავების შეჯიბრებაში სტარტზე ხუთი ეკიპაჟი გამოვიდა. თბილისელთა გუნდის (მწვრთნელი — ჯემალ ნანიკაშვილი, დამწყები მენიჩბე — ალექსანდრე ჭავჭავაძე, მესაჭე — ნუგზარ აბელოვი) გამარჯვება არავის აეკვედება. ვარაუდი გამართლდა. მათ სამი მეათედი წამით ჩამოიტოვეს ძირითადი მეტოქეები — ქუთაისელი სპორტსმენები.

გუნდური ადგილები: 1. თბილისი (815 ქულა), 2. ქუთაისი (786), 3. აფხაზეთი (687). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფოთის (681), აჭარის (551), რუსთავის (335) და მცხეთის (213) ნიჩბოსნები.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

გოგონები: ერთადგილიანი ნავები. 1. ი. დენისიუკი (ფოთი, „ვოდნიკი“) 6,40; 2. ნ. ფცქიალაძე (თბილისი, „კოლმეურნე“) 6,41; 3. ო. მელაძე (სოხუმი, „დინამო“) 6,44. წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი. 1. ი. დენისიუკი, ნ. კარიაგინა (ფოთი, „ვოდნიკი“) 5,48; 2. ნ. ოსიპოვა, ი. ჩოლოკიანი (სოხუმი, „დინამო“) 5,54; 3. ლ. ხმელაძე, ლ. დვალიშვილი (ქუთაისი, „კოლმეურნე“) 5,58. უმესაჭო ორადგილიანი. 1. ლალი მაისურაძე, თამარ მაისურაძე (თბილისი, „კოლმეურნე“) 7,35; 2. ი. კლადნიცკაია, ს. კინოსიანი (სოხუმი, „დინამო“) 7,44, 3. ვ. ,ოვალიოვა, ტ. კონიახინა (ბათუმი, „ვოდნიკი“) 7,49. მესაჭიანი ოთხადგილიანი. 1. თ. თევდორაძე, ს. ცუცხვაშვილი, ნ. გოჭაძე, მ. სილაგაძე, მესაჭე ლ. ვალკო (ქუთაისი, „კოლმეურნე“) 5,48; 2. თბილისის („კოლმეურნე“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე ლ. ქიტესაშვილი, მესაჭე ნ. იოსელიანი — 5,50; სოხუმის („დინამო“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე ნ. რიაბიკოვა, მესაჭე ი. ხვოროსტოვა — 5,58. რვაადგილიანი. 1. ქუთაისი („კოლმეურნე“). დამწყები მენიჩბე თ. თევდორაძე, მესაჭე ს. ვალკო — 6,36; 2. სოხუმი („დინამო“). დამწყები მენიჩბე ნ. რიაბიკინა, მესაჭე ი. ხვოროსტოვა — 6,46; 3. თბილისი („კოლმეურნე“). დამწყები მენიჩბე ლ. ქიტესაშვილი, მესაჭე ლ. იოსელიანი — 6,52.

ვაჟები: ერთადგილიანი. 1. ვ. ვერეტენიკოვი (რუსთავი, „სპარტაკი“) 6,49; 2. ა. ჩიმაკაძე (ქუთაისი, განათლების განყოფილების სპორტსკოლა) 6,55; 3. ა. მაისურაძე (ფოთი, „ვოდნიკი“) 6,59. წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი. 1. ა. მაისურაძე, კ. ჯიქია (ფოთი, „ვოდნიკი“) 7,02; 2. დ. რამიშვილი, ვ. გულიშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“) 7,04, 3. ზ. სიჭინავა, ო. კარდანახიშვილი (რუსთავი, „განთიადი“) 7,10. უმესაჭო ორადგილიანი. 1. თ. დარსაველიძე, ზ. კეთილაძე (თბილისი, „კოლმეურნე“) 5,35; 2. გ. მანაგაძე, ლ. ლიპარტელიანი (ქუთაისი, „კოლმეურნე“) 5,36; 3. მ. შამილიშვილი, დ. ჩიქოვანი (ბათუმი, „ვოდნიკი“) 5,39, მესაჭიანი ორადგილიანი. 1. ე. ჩესნოკოვი, ვ. მოტრენკო, მესაჭე ა. პეტრენკო (ფოთი, „ვოდნიკი“) 6,55; 1. გ. ჯალაღანია, ტ. ბაქრაძე, მესაჭე ს. სულაძე (ქუთაისი, „კოლმეურნე“) 6,55; 2. მ. შამილიშვილი, დ. ჩიქოვანი, მესაჭე ა. სიხარულიძე (ბათუმი, „ვოდნიკი“) 7,10; 3. ლ. ჭავჭავაძე, ფ. მანავლიშვილი, მესაჭე ზ. ჩეჩვაძე (თბილისი, „კოლმეურნე“) 7,12. წყვილმოსასმელიანი ოთხადგილიანი. 1. ზ. ბირკაძე, დ. რამიშვილი, ვ. გულიშვილი, მ. ელყანიშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“) 5,40; 2. ფოთის („ვოდნიკი“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე ს. ლიაშენკო — 5,42; 3. ბათუმის („ვოდნიკი“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე რ. ხრამცოვი — 5,44, უმესაჭო ოთხადგილიანი. 1. ა. ნიკოლაიშვილი, მ. ალავიძე, ი. შუქურაშვილი, ი. ასიტაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“) 5,30; 2. ბათუმის („ვოდნიკი“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე დავით ხომერიკი — 5,34; 3. ფოთის („ვოდნიკი“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე ზ. ქოიავა — 5,36. მესაჭიანი ოთხადგილიანი. 1. თბილისის („კოლმეურნე“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე ა. ნიკოლაიშვილი, მესაჭე ზ. ჩეჩვაძე — 5,10; 2. ქუთაისის („კოლმეურნე“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე ს. ტერეშენკო, მესაჭე პ. მანაგაძე — 5,16; 3. სოხუმის („დინამო“) ეკიპაჟი. დამწყები მენიჩბე გ. ჩართია, მესაჭე ვ. პელიხი — 5,20; რვაადგილიანი. 1. თბილისი („კოლმეურნე“). დამწყები მენიჩბე ა. ჭავჭავაძე, მესაჭე ნ. აბელოვი — 4,36; 2. ქუთაისი („კოლმეურნე“). დამწყები მენიჩბე ს. ტერეშენკო, მესაჭე პ. მანაგაძე — 4,39; 3. აფხაზეთი („დინამო“). დამწყები მენიჩბე გ. ჩართია, მესაჭე ვ. პელიხი — 4,41.

ლამარა ხეცურიანი.

გულისწყრომის სტრიქონები

ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გვეღირსოს?

ეს წერილი ორმა მშობელმა ჩამოიტანა ბათუმიდან

პატივცემულო რედაქცია!

მოგმართავთ ბათუმის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეთა მშობლები. წერილით რედაქციას მშობლები მაინც მიმართავენ, როცა სათხოვარი აქვთ. ასეა ამჯერადაც, ოღონდ ჩვენ არა მარტო რედაქციას, არამედ საქართველოს სპორტსახკომს, სახალხო დეპუტატების ბათუმის აღმასკომსა და სხვა ზემდგომ ორგანოებსაც მივმართავთ. წვრილმანი საკითხი რომ იყოს, თავს შევიკავებდით, მაგრამ დადგა დრო, როცა სათქმელი ხმამაღლა და მწვავედ უნდა ითქვას.

ბათუმის საჭადრაკო სკოლა, თუკი მას ასე შეიძლება ეწოდოს, სრულიად შეუფერებელ, მოუხერხებელ, დანგრევის პირას მიხულ შენობაშია მოთავსებული. შენობა არ თბება, ყველა ასაკის ბავშვი ერთ ოთახში მეცადინეობს, არც გასახდელები და არც სხვა სათავსებია, სკოლას არა ჰყავს დამლაგებელი. ზამთარში სახტიკი სიცივე, სინესტე და ანტისანიტარიაა. ბავშვები პალტოებ და ქურთუკებჩაცმულები უსხედან ჭადრაკის მაგიდებს, ზაფხულობით აუტანელი სიცხეა შენობაში. ამ „სკოლას“ ერთადერთი სამეცადინო ოთახი აქვს. ერთი სიტყვით, დიდი აღწერა არ სჭირდება ჩვენი საჭადრაკო სკოლისა და ბავშვების გაჭირვებას.

უნდა ითქვას, რომ ბათუმის ქალაქისა და სპორტის მესვეურებმა კარგად იციან, რა მდგომარეობაა სკოლაში. ქალაქის აქტივისტებმა ხმა აღიმაღლეს და წინადადება წამოაყენეს ზღვისპირა პარკში აშენებული ლუდის ბარი საჭადრაკო სკოლისთვის გადაეცათ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. ლუდის მოყვარულნი ზღვისპირა პარკის სილამაზით ტკბებიან, ჭადრაკის მოყვარულნი კი, ნახევრად ბნელ ოთახში შეკუჭულნი, მტვერს ყლაპავენ. საკითხავია, მამულისთვის ვის უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია — ჭადრაკისა თუ ბახუსის თაყვანის მცემელს?

საქმე ის არის, რომ ბევრ ნიჭიერ და კარგი მომავლის მქონე ნორჩ მოჭადრაკეს მშობლები სკოლაში არსებული ცუდი პირობების გამო არ უშვებენ მეცადინეობაზე. ვერც ბაიმტუნებთ, რადგან ბავშვები ხშირად ცივდებიან და ავად ხდებიან. იმისათვის, რომ ბათუმელმა ყმაწვილებმა და გოგონებმა საჭადრაკო ხიმაღლეები დაიპყრონ, გარდა ნიჭისა, მათ სათანადო პირობებიც უნდა ჰქონდეთ. კაცმა რომ თქვას, ამაზე დღეს ლაპარაკიც კი ხირცხვილია, მით უმეტეს, ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ბევრი საჭადრაკო ვარსკვლავი დაბადა და გაიზარდა. მაგრამ მარტო ნორჩ მოჭადრაკეთა მშობლებს კი არ უნდა გვრცხვენოდეს, მარტო ჩვენ კი არ უნდა ვწუხდეთ, არამედ მთელი ქალაქი. მთელი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოება და მესვეურები გვერდში უნდა ამოგვიდგნენ, რომ ბათუმს ბოლოს და ბოლოს ეღირსოს ნორმალური საჭადრაკო სკოლა.

ბათუმის საჭადრაკო „სკოლის“ მოსწავლეთა მშობლები: ბერძენიშვილი, გოგუა, ჯმნაძე, გოგოხია, ხაჩატურიანი, პახკო, ახკურავა... წერილს ხელს აწერს 18 მშობელი.

ჭადრაკის ზეიმი სასწავლებელში

თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებასაც ეუფლებიან და ხალისით მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირებში.

იმ დღეს ამ სკოლის რუსული სექტორის დარბაზი ბავშვებით აივსო. ლამაზად მორთულ სცენაზე დადგმულ საჭადრაკო მაგიდებს მიუსხდნენ მსოფლიო ჩემპიონების გარი კასპაროვისა და მიხა ჩიბურდანიძის სახელობის სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები. ერთი წელია, რაც ისინი ჭადრაკის თამაშს სწავლობენ და აი, ამ დღეს მათი ცოდნის შესაჯამებელი კონკურსი-ვიქტორინა ჩატარდა. გაიმარჯვა მაია ჩიბურდანიძის სახელობის გუნდმა — 28:27. ჭადრაკის თამაშის კარგი ცოდნა გამოავლინეს საშა წიკლაურმა, კრისტინა ლესტეროვამ, გია მიმინოშვილმა, ვოვა კარპუზოვმა.

ეს საინტერესო ღონისძიება მილიციის კაპიტნის, ჭადრაკში სპორტის ოსტატობის კანდიდატი, პირველი კატეგორიის მსაჯის მერაბ მიმინოშვილის თაოსნობით ჩატარდა.

„ლელოს“ კორ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

ლიდერთა მატჩი

მერვე ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში ქუთაისის „მშენებელი“ მოექცა. ლიდერთა შორის იყო ალმა-ათის არმიელთა კოლექტივიც, რომელიც ორი ქულით ჩამორჩებოდა დაწინაურებულ „მშენებელს“. 22 მაისს, მეცხრე ტურის მატჩში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს.

მასპინძელთა გუნდის უფროს მწვრთნელს დუგლას კავთელაშვილს ბევრი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი. საჭირო იყო ძირითადი შემადგენლობის 5 მოთამაშის შეცვლა და სათამაშო მოედნის... პოვნა. დიახ, „მშენებელს“ საკუთარი მოედნის პრობლემა დღემდე ვერ გადაუჭრია. ეს საქმე ასე თუ ისე მოგვარდა. გუნდს დასახმარებლად ხელი გაუწოდეს მეზობლებმა, წყალტუბოელებმა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შეხვედრა მაღალ დონეზე გამართულიყო.

რაც შეეხება შემადგენლობას, ამ მატჩში მოედანზე გამოსვლა ვერ შეძლეს ძაგნიძემ, ნაჭყებიამ, გაბრიჩიძემ, ფხაკაძემ, პირველსავე წუთებზე მძიმედ დაშავდა შვანგირაძე. მიუხედავად ამისა, „მშენებელმა“ თამაში აქტიურად დაიწყო. ალმაათელებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, ისინი ძალისმიერი თამაშით და გააზრებული მოქმედებით კუთხეში იმწყვდევენ ნებისმიერ გუნდს. ქუთაისელებმა ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზეს მეტოქეებს — ისინი ძირითადად ხელით თამაშობდნენ; სწრაფი, მოულოდნელი გადაცემების წყალობით არმიელს კონტაქტში შესვლის საშუალებას არ ძლევდნენ; გაშლილად, ლაღად მოქმედებდნენ და ხშირად ცვლიდნენ შეტევის მიმართულებას.

თამაშის დაწყებისთანავე ქუთაისელებმა რამდენჯერმე ეფექტურად გაშალეს მარაო, ზედიზედ ოთხჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. პირველ წარმატებას მშენებლებმა მე-15 წუთზე მიაღწიეს: ალმაათელთა ჩათვლის მოედნის სიახლოვეს შერეკილება დანიშნა. ქუთაისელთა მესამე ხაზის მოთამაშეები დროულად გაიშალნენ და მეტოქეს ძმაფრად შეუტიეს, მაგრამ სტუმრებმა აკრძალული ხერხით ზედ კარის ხაზთან შეაჩერეს მოიერიშენი. „მშენებლის“ მორკინალებმა მძლავრი ბიძგით უკან დაახევინეს მეტოქეებს და შერკინების „ჩამკეტმა“ თხელიძემ ბურთი დაამიწა. ათიოდე წუთის შემდეგ ხამაშურიძემ თითქმის მოედნის ცენტრიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო.

მეორე ტაიმი გაცილებით დაბალი ტემპით წარიმართა, თუმცა ქუთაისელები მატჩის მიწურულს კვლავ გააქტიურდნენ და კიდევ 6 ქულა აიღეს. 13:0 — ასეთი დაშჯერებელი ანგარიშით დაამარცხა „მშენებელმა“ ერთ-ერთი „მდევარი“ და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს.

„მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: ხარშილაძე, ძოწენიძე, გიორგობიანი, ლიპარტელიანი (ჟორჟოლიანი), ხამაშურიძე, დეისაძე, ლოსაბერიძე, თხელიძე, ნემსოწვერიძე, შვანგირაძე (გაბუნია), წივწივაძე, ოდიშარია, ლილუაშვილი, ტურძელაძე, ობოლაძე.

„ლელოს“ ხაკ. კორ.

თავსატეხი მაინც ბევრია

დასასრული

● **როგორ აფასებთ რესპუბლიკის ნაკრების პოტენციას?**

— ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირში ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივია — ახალგაზრდული და პერსპექტიული. საქართველოს ძიუდოისტებს ყველა წონაში და ყველა რანგის ტურნირში პირველობისთვის ბრძოლა შეუძლიათ. ეს მათ უშრეტ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

● **იყო დრო, მსუბუქ წონებში მაღალი კლასის ოსტატთა დეფიციტს განიცდიდით.**

— იყო, მართალია, თანაც არც ისე დიდი ხნის წინ, მაგრამ ახლა მდგომარეობა აქაც გამოსწორდა. ერთ ასეთ მაგალითს მოგიყვანთ. რამდენიმე წლის წინ ძლიერი მოჭიდავე 60 კგ წონით კატეგორიაში სანთლით საძებარი იყო, ახლა კი ოთხიდან რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, ალარ ვიცით. ამირან ტოტიკაშვილი და ბადრი ბასილაშვილი უფრო გამოცდილები არიან, დიდ იმედებს ვამყარებთ კახა ქურასბედიანსა და რობერტ ლომძიეზეც. ხედავთ, 60 კგ-ში ოთხი ღირსეული კანდიდატი გვყავს. ასეა სხვა წონებშიც.

● **მაშ თქვენ, როგორც ნაკრების უფროს მწვრთნელს, თავსატეხი ცოტა გქონიათ.**

— მთლად ასე არ არის. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ძიუდოისტები ჩოქბჯენში ბრძოლის ტექნიკას სუსტად ფლობენ, იშვიათად იყენებენ შებოჭვებს, მტკივნეულ ილეთებს. არადა, საერთაშორისო სარბიელზე ეს ილეთები ერთობ პოპულარულია. ამიტომ ჩოქბჯენში ბრძოლის ტექნიკას სრულყოფილად უნდა დავეუფლოთ.

● **რა გეგმები გაქვთ?**

— ჩვენი მთავარი მიზანია თბილისის საერთაშორისო ტურნირში კარგი გამოსვლა. ამ შეჯიბრებაში, რომელიც ივნისში ჩატარდება, მონაწილეობას მიიღებენ ჩვიდმეტი ქვეყნის წარმომადგენლები. თბილისის საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამართული ბოლო შეჯიბრება იქნება, ამიტომ მას ყველა ქვეყანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საბჭოთა კავშირის ნაკრების საბოლოო სახეც სწორედ ამ ტურნირში გამოიკვეთება.

● **როგორ ფიქრობთ, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას ვინ შეძლებს?**

— ის, ვინც თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამოიჩენს თავს. დარწმუნებული ვარ, ნაკრებში კობა კურტანიძე და აკაკი კიბორძალიძე აუცილებლად მოხვდებიან. დიდი შანსი აქვს გია თეფნაძესაც, თუმცა, ვიმეორებ, ყველაფერს ამ ტურნირის შედეგები გადაწყვეტს.

საქართველოს სპორტსასკოლოში

ინასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი რესპუბლიკა სპორტული კოლეგიას აღსაზრდელთა საკავშირო თამაშების მახპინძელია, კოლეგიის მორიგ სხდომაზე მოიხმინეს ამ დიდი სპორტული ასპარეზობის მთავარ მსჯელთა კოლეგიის ინფორმაცია. ითქვა, რომ დღეისათვის ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ იმისათვის, რომ ბევრი პრობლემა დროულად მოგვარდეს, დარჩენილ დროში ძალების სრული შობილიზება იქნება საჭირო. ითქვა ისიც, რომ პრესას და ტელევიზიას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მზადებაში დაშვებულ ნაკლოვანებათა დროული მხილებით.

მკაცრი, ობიექტური მსჯელობის საგნად იქცა საქართველოს ფრენბურთელთა სპორტული ოსტატობის შემდგომი ზრდის საკითხი. კოლეგიამ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია მუშაობაში მწყობრი სისტემის შექმნა, უნდა ამაღლდეს სპორტული საზოგადოებების და უწყებების პასუხისმგებლობა, ბოლო უნდა მოეღოს მწვრთნელთა უნაყოფო მუშაობას. მიღებულ დადგენილებაში გამოკვეთილია მუშაობის გარდაქმნა-გააქტიურების გეზი. კოლეგია ამ საკითხს მომდინარე წლის ნოემბერში კვლავ დაუბრუნდება.

კოლეგიამ განიხილა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის მზადების შედეგები. შემდეგ კოლეგიის წინაშე წარსდგნენ ხსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი (ორივე—თავისუფალი ჭიდაობა) და კობა კურტანიძე (ძიუდო). სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა ილაპარაკეს მომავალი შეჯიბრებისთვის მზადების შესახებ, თქვეს, რომ ეცდებიან ღირსეულად გაატარონ ქართული სპორტის სახელო ტრადიციები.

კოლეგიის სხდომამ განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები

ორ თვეში ოთხი გამარჯვება

ბოლო ორი თვის მანძილზე 20 წლის ალმაათელმა ტანმოვარჯიშემ ვალერი ლიუკინმა ოთხი დიდი შეჯიბრება მოიგო. მათში უმთავრესი ევროპის ჩემპიონატია, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. ლიუკინმა აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს medალი მოიპოვა — 59,150 ქულა. „ვერცხლი“ მსოფლიოს ორგზის აბსოლუტურ ჩემპიონს ვლადიმირელ იური კოროლიოვს ხვდა წილად — 58,65 ქულა, ბრინჯაოსი — უგრელ დიერდ გუსკოგის — 58,40 ქულა.

ლიუკინმა, რომელიც სულ რამდენიმე თვეა ნაკრებში შეიყვანეს, დასამახსოვრებელი გამარჯვებები მოიპოვა: გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ტურნირის ჩემპიონი გახდა, საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელს დაეუფლა და აშშ-სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა მატჩში გაიმარჯვა. ახლა იგი ევროპის აბსოლუტური ჩემპიონია.

ჩემპიონატის ეპო

ისინი ახლახან დაბრუნდნენ პარიზიდან. ერთმა ოქროს medალი ჩამოიტანა, მეორემ — ბრინჯაოსი. ამ გამარჯვებას კარგა ხანია ველოდით. ორწლიანი „ანტრაქტის“ შემდეგ ქართველმა ძიუდოისტებმა კვლავ დაძლიეს „ევროპული სიმაღლე“. აქედან უკვე ახალი მწვერვალები მოჩანს — მსოფლიო ჩემპიონატი, ოლიმპიური თამაშები. ახლა კობა კურტანიძეც და აკაკი კიბორძალიძეც ამ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე და გამარჯვებაზე ოცნებობენ. ძიუდოს გულშემატკივარიც მაქსიმალისტია: საკავშირო ტურნირებში გამარჯვებით ვერ გაკვირვებ. მხოლოდ უმაღლესი რანგის შეჯიბრებები, მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბის წარმატება.

პარიზი, პიერ დე კუბერტენის სახელობის სპორტის სასახლე. ოცდაექვსი ქვეყნის ძიუდოისტები ჩაბნენ ევროპის ჩემპიონატის medალებისთვის ბრძოლაში. საბჭოთა ნაკრები ოცდამეხუთედ მონაწილეობდა ამ ტურნირში. მეოთხედი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, გუნდში საქართველოს წარმომადგენელი არ გაგზავნილიყო. ქვეყნის ნაკრებში ამჯერად ორი ქართველი ძიუდოისტი შეიყვანეს — კობა კურტანიძე და აკაკი კიბორძალიძე. კიბორძალიძე ასეთი რანგის შეჯიბრების დებიუტანტი იყო, კურტანიძემ კი შარშან ბელგრადშიც იჭიდავა. მეხუთე ადგილს. რა თქმა უნდა, წარმატებად ვერ ჩაუთვლიდნენ, მაგრამ გორელი ფალავანი, როგორც ქვემძიმე წონაში უძლიერესი, მაინც დარჩა ნაკრებში. სხვა კანდიდატურა არც ყოფილა. ერთი დეტალი: ზედიზედ შვიდი წელია (!) ქვემძიმე წონაში საკავშირო ჩემპიონატის ოქროს medალს საქართველოს სპორტსმენები ისაკუთრებენ. ბოლო სამი medალი კურტანიძის ანგარიშზე მოდის.

კობა კურტანიძე: **„შარშან ბელგრადში ცუდად ვიჭიდავე, ვაშონთან მოგებული შეხვედრა ბოლო წამებზე წავაგე... ამის შემდეგ მთელი წელიწადი, ერთი და იგივე მესმოდა — კურტანიძე საზღვარგარეთ ვერ ჭიდაობს. კურტანიძეს ტიტულოვანი მეტოქეებისა ეშინიაო. იმას არავინ ამბობდა, რომ საზღვარგარეთ არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ წამიგია, არც ერთი ბრძოლა არ დამითმია... ბელგრადში ერთადერთ შეხვედრაში დავმარცხდი და ყველაფერი თავდაყირა დადგა. იმ მარცხის სიმწარე აქამდე გამომყვა. ერთი სული მქონდა, კვლავ შევხვედროდი ვაშონს“.**

აკაკი კიბორძალიძე: **„ევროპის ჩემპიონატისთვის თითქმის ნახევარი წელი ვემზადებოდი. საკონტროლო შეხვედრები არც მე მქონია. ლენინგრადში, საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ნაკრებს უფრთხმა მწვრთნელმა მითხრა, გუნდში ადგილი გარანტირებული გაქვსო. ოღონდ ერთი რამ არ ვიცოდი — მძიმე წონაში მომიწევდა გამოსვლა თუ აბსოლუტურში. საერთოდ, მე აბსოლუტურ პირველობაში უკეთესად ვჭიდაობ, თითქმის ყველა medალი აბსოლუტურში მაქვს მოპოვებული. პარიზში მწვრთნელებმა მძიმე წონაში დამაყენეს, აბსოლუტურ კატეგორიაში კი ვერჩევი გამოვიდა“.**

სხვათა შორის, წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ფინალში კიბორძალიძემ სწორედ გრიგორი ვერჩევი დაამარცხა და პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მოჭიდავეებისგან არაერთხელ მსმენია: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება, ხშირ შემთხვევაში, უფრო ძნელია, ვიდრე ევროპისა და მსოფლიო პირველობებშიო. აქ თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, სამბოს წარმომადგენლებს ვგულისხმობ (ამ სახეობებში საბჭოთა ფალავნები მართლაც უძლიერესები არიან), თორემ ძიუდოში სულ სხვაგვარადაა საქმე. მსოფლიოს medალოსან ქვეყნებში, განსაკუთრებით ევროპაში, ძიუდოს უამრავი მიმდევარი ჰყავს. იაპონელებს თუ გამოვრიცხავთ, „დანარჩენ სამყაროსთან“ შედარებით ევროპელებს აშკარა უპირატესობა აქვთ. რაც შეეხება უშუალოდ კონტინენტის პირველობებს, აქ medalებთ გამოკითხვა მოაწყვეს. საბჭოთა დელეგაციამ, ისევე როგორც მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ, ძველი წესების დატოვება მოითხოვა. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის“.

აკაკი კიბორძალიძე: **„პარიზში კიდევ ერთი სიახლე გველოდა — ვაუთა ჩემპიონატის პარალელურად პირველად ჩატარდა ქალთა ტურნირი. ერთ ტატამზე ჩვენ გამოვდიოდით, მეორეზე — ქალები. ჩემი აზრით, ესეც ორგანიზაციული ლაფსუსია. წარმოიდგინეთ, ერთ დარბაზში, ერთდროულად, ვთქვათ, კალათბურთელ ვაუთა და ქალთა შეჯიბრებები რომ მოეწყოს. ეს არც სპორტსმენისთვისაა ხელსაყრელი და არც მაყურებლისთვის“.**

სხვათა შორის, როგორც ადრე გამოცხადდა, გუნდური ადგილები ვაუთა და ქალთა საერთო შედეგებით უნდა გამოვლენილიყო, მაგრამ



რევანში

ლებ.. როგორც წესი, ათი-თორმეტი ქვეყნის წარმომადგენლები ინაწილებენ. საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, ინგლისი, გფრ, ბელგია, გდრ, პოლონეთი, იუგოსლავია, იტალია, რუმინეთი, ავსტრია... აი, რამდენი „ძიუდოს ქვეყანაა“ ევროპაში. ასეთ კომპანიაში, რა თქმა უნდა, გამარჯვება ძნელიც არის და საპატიოც.

ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი ახალი წესებით ჩატარდა. ძიუდოს ევროპის კავშირმა, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო (თანაც, ზედ ჩემპიონატის წინ) — პრიზიორთა გამოვლენის ტრადიციული წესი გააუქმა და ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები ბოლო დღისთვის გადაიტანა. ექსპერიმენტმა არ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, ამ აზრისაა ბევრი სპეციალისტი და სპორტსმენი.

კობა კურტანიძე: **„ალბათ უკეთესი იქნებოდა, ახალი რეგლამენტით ჯერ რომელიმე რიგითი საერთაშორისო ტურნირი ჩატარებულიყო და „აკლიმატიზაციის“ საშუალება მოგვცემოდა. ექსპერიმენტი პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე შედგა. ჩვენ ყველანი უკმაყოფილონი დავრჩით. შეჯიბრების შემდეგ ორგანიზატორებმა საგანგებო გამოკითხვა ჩაატარეს. ეს ინფორმაცია, ალბათ, ცოტა ადრეა, მაგრამ ეს ფაქტი ალბათ ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა. ეს ფაქტი ასეთია: ევროპის ჩემპიონატზე ჩემ მეტ ადგილზე ოთხ ადგილზე ... ...

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

დისციპლინასაც უნდა მივხედოთ

20 და 21 მაისს გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის XIII-XIV ტურის სამი გამოტოვებული მატჩი.

20 მაისი. სოხუმი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 99:117 (47:60). მსაჯები: რ. გოგელია (თბილისი), ზ. აბაშიძე (სამტრედია).

სოხუმი: სუშენკო (25). ჯგერენაია (24), ჭითავა (21), სულავა (13), პირველი (12), მატუა (2), სონინი (2).

სახელმწიფო უნივერსიტეტი: ძიძავა (38), ბოროდაჩოვი (23), ნათობიძე (22); ლომიძე (15), ტალაბაძე (5), ჯავახიშვილი (4), კვინიკაძე (4), ხუხაშვილი (3), ელირიძე (3).

21 მაისი. სოხუმი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 95:112 (45:55). მსაჯები: რ. გოგელია (თბილისი), ზ. აბაშიძე (სამტრედია).

სოხუმი: ჯგერენაია (30), ჭითავა (28), პირველი (15), სუშენკო (12), სულავა (6), მატუა (2), სონინი (2).

სახელმწიფო უნივერსიტეტი: ძიძავა (38), ბოროდაჩოვი (23), ტალაბაძე (17), ლომიძე (16), ნათობიძე (14), ჯავახიშვილი (4).

ამ ორი გამარჯვების შემდეგ უნივერსიტეტის გუნდი გათამაშების ერთიანეროვნული ლიდერი გახდა. სოხუმელებთან შეხვედრაში მისი უპირატესობა აშკარა იყო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უნივერსიტეტელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ძიძავამ. ორ შეხვედრაში თავის კოლექტივს 76 ქულა შესძინა.

20 მაისი. „ხინათლე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 72:70 (37:34). მსაჯები: მ. ჭურაძე, რ. გელოვანი, კომისარი — გ. ხვანიძე (ყველა — თბილისი).

„ხინათლე“ სინჯარაძე (21), ძაძიგური (19), ქორქია (12), ლონღაძე (10), ჯორჯიკია (6), ჯ. ჩაჩხიანი (2), რ. ჩაჩხიანი (2).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ლიპარტელიანი (18), ჩერქეზიშვილი (12), კაპუსტინი (12), კობეშავიძე (12), ტომარაძე (10), ფერაიშვილი (6).

21 მაისი. „ხინათლე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 87:76 (47:36). მსაჯები: რ. ხომერიკი, მ. ჭურაძე, კომისარი — გ. ხვანიძე (ყველა — თბილისი).

„ხინათლე“: ლონღაძე (27), სინჯარაძე (22), ჩაჩანიძე (11), ძაძიგური (10), ქორქია (8), ჯორჯიკია (5), შავლოხოვი (4).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ლიპარტელიანი (16), ჩერქეზიშვილი (13), კაპუსტინი (13), ფერაიშვილი (13), კობეშავიძე (11), ტომარაძე (10).

„სინათლემ“ გაუსწორა თავის მთავარ კონკურენტს და ქვეჯგუფში პირველ ადგილზე დამკვიდრდა. ეს, რა თქმა უნდა, გუნდის მზარდ შესაძლებლობებზე მეტყველებს, მაგრამ კოლექტივს ამჯერადაც უღალატა მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა ზაზა ლონღაძემ. მეტოქის შეურაცხყოფისათვის მსაჯებმა იგი მოედნიდან გააძევეს.



ლონღაძე — მეორედ ისჯება ასე მკაცრად არადა მას უკვე ჰქონდა პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე. როგორც ჩანს, ამ გუნდში დისციპლინა არ დგას მოწოდებით სიმაღლეზე.

ქუთაისში გაიმართა ადგილობრივი კალათბურთელებისა და თბილისის „მართვეს“ ორი მატჩი. პირველი შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს — 79:73; მეორე — მასპინძლებმა — 67:47.

გთავაზობთ ჩემპიონატის სატურნირო ცხრილებს:

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
თსუ (თბ.)	14	12	2	1384-1141	26
სპი (თბ.)	14	11	3	1251-1122	25
„დინამო“ (თბილისი)	14	8	6	1090-1116	22
სოხუმი	14	5	9	1203-1252	19
რუსთავი	14	4	10	1079-1217	18
გორი	14	2	12	1089-1248	16

II ქვეჯგუფი

„ხინ.“ (თბ.)	14	12	2	1375-1180	26
სკიფ (თბილისი)	14	11	3	1189-1088	25
„მართვე“ (თბილისი)	14	7	7	1154-1147	21
ქუთაისი	14	6	8	1067-1091	20
ბათუმი	14	4	10	1046-1090	18
თელავი	14	2	12	1089-1344	16

რობერტ ემიანი ბობი ბიმონის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახკაძორში (სომხეთი) გამართულ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში საბჭოთა ნაკრების წევრმა რობერტ ემიანმა სიგრძეზე ხტომაში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — 8 მეტრი და 86 სანტიმეტრი, რაც მხოლოდ 4 სანტიმეტრით ჩამორჩება ბობი ბიმონის (აშშ) მსოფლიო რეკორდს, რომელიც მან 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე დაამყარა.

ამ დღეს ემიანი მართლაც შეუძარეველი იყო. მისი ... ნტომიც ... ბისმპიერ ... ორისო ტურნირს დაამშვენებდა ... მეტრი და 65 სანტიმეტრი, 8 ... ტრი და 53 სანტიმეტრი).

წახკაძორში მოასპარეზეებმა ... დევ რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი აჩვენეს. კიეველმა მარ... პინიგინამ 400 მეტრი 50,44 წამ... გაირბინა. ვაჟთა ამავე დისციპ... ციაზე უძლიერესი ალეკსანდრ ... კუროჩკინი იყო — 45.65.

კალეიდოსკოპი



მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ძალოსნობაში

პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ძალოსნობაში იყო კანადელი ჰერკულესი, ლუი სირე. მან ეს ტიტული მოიპოვა ლონდონში, 1892 წელს, როცა სძლია სახელგანთქმულ ევგენი სანდოვს.

არცთუ მაღალი (176 სმ. სიმაღლის) ლუი სირე 157,5 კგ-ს იწონიდა. მისი კისრის გარშემოწერილობა იყო 62 სმ. მკერდისა — 147, ბიცეპსებისა — 55. ლუი სირემ დაამყარა მეტად თავისებური რეკორდები. მას ცალი ხელით მუხლებამდე აჰქონდა 27 ფუთი ტვირთი, ორი ხელით წელამდე სწევდა 52 ფუთი სილა-ქვიშით სავსე კასრს, ხოლო ზურგით ყოველგვარი დამხმარე მოწყობილობებისა და პლატფორმის გარეშე სწევდა 121 ფუთისა და 25 ფუნტის სიმძიმის ტვირთს, რაც თითქმის ორ ტონას უდრის.

ლუი სირე — კანადელთა სათაყვანებელი კერპი 49 წლისა გარდაიცვალა.

ცალფეხა მოკრივე

ამერიკელი მოკრივე გრეგ ბოდზანოვსკი (პროფესიულ რინგზე „მისტერ ბოდზად“ წოდებული) წარმატებით სძლევდა დიდების მწვერვალებს. 1984 წელს იგი მოტოციკლეტით ავარიაში მოხვდა და მას გაუკეთეს მარჯვენა ფეხის ამპუტაცია, მოარგეს პროთეზი. ამიტომ ... ავსებით ბუნებრივი იყო რომ ... ინოისის შტატის მოკრივეთა შ... მოწმეებელმა კომისიამ მას სამუდ... მოდ აუკრძალა შეხვედრებში მ... ნაწილეობა. მაგრამ ბოდზანოვს... რაღაცნაირად მაინც მოახერხა რ... გზე გასვლა, რამდენიმე გამარჯ... ბაც მოიპოვა. პროთეზიანი კაც... პირობაზე ისე სწრაფად მოძრაობ... რომ უკანასკნელი მატჩი ფრენ... სარჯენტთან ნოკაუტითაც კი მოგ... და აქ მისტერ ბოდზმა მოუ... ჭკუას. კარგად იცოდა, რომ კ... მუდამ არ მოიტანდა წყალს. „ასე... ბრწყინვალე გამარჯვების შემდ... გულმშვიდად დავკიდე ხელთათ... ნები ლურსმანზე. ვუყურებ ... ვფიქრობ. „არცთუ ურიგო მოკრ... ვიყავ სრულიად საღსალამათი, არ... თუ ურიგო მოკრივედ დავრჩი ... ლიდიც“. ეს ფიქრი მაწყნარებს ... შვებას მგვრის“.

ედიშერ გიორგაძე.

ბილარდო... „მხოლოდ ჩემპიონობ...

როგორც არგენტინის ნაკრებ... მწვრთნელმა დოქტორმა კარლ... ბილარდომ განაცხადა, მის გუნ... 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატ... ზე მხოლოდ პირველი ადგილ... მოპოვება აქვს გადაწყვეტილი.

ციხეფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 24 მაისი. დილის დაპურვა — 8.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.... (1); საერთაშორისო ავტორალი „ლადა“ — 15.05 (2), ჩოგბურთის გაკვეთილები — 21.45 (2); ევროპის ჩემპიონატი ტანვარჯიშში — 22.40 (1); საფეხბურთო მიმოხილვა — 23.45 (1).

25 მაისი. დილის დაპურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 9.05 (1) და 19.15 (2).

საქართველოს ტელევიზია. 24 მაისი. სპორტული ფილმების ფესტივალი — 13.05; საფეხბურთო მიმოხილვა — 23.45.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

სპორტულ-ტექნიკური კომისიის სანქციები

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა იმ სპორტსმენთა საკითხი, რომლებმაც რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩებში უხეშად დაარღვიეს დისციპლინა და ამის გამო მოედნიდან იუწყეს გაძევებულნი.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ბოლო დროს ამატა წესრიგის დარღვევის ფაქტებმა, რაც გუნდებში არასაკმარის აღმზრდელობით მუშაობაზე მიგვანიშნებს. უდისციპლინო კალათბურთელთა მიმართ მკაცრ სანქციებს არა მხოლოდ სპორტულ-ტექნიკური კომისია უნდა იყენებდეს, არამედ კოლექტივების ხელმძღვანელები, ადგილობრივი სპორტკომიტეტები, საზოგადოებრიობამ მათი საქციელი გულახდილი მხჟელობის საგანი უნდა გახადოს.

სპორტ-ტექნიკურმა კომისიამ 2-2 თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ბათუმელ შერვაშიძეს, ხოხუმელ ბაღათურიას და ქუთაისელ ვაშაკიძეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელი ქამუშაძე და ქუთაისელი გოკსაძე 4-4 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ტურნირი ამერიკელმა ჭაბუკებმა მოიგეს

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბანჰეიმში გაიმართა ჰაბუკ კალათბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ალბერტ შვაიცერის პრიზზე, რომელსაც მიმომხილველები მსოფლიო არაოფიციალურ ჩემპიონატს უწოდებენ.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ: აშშ-ს გუნდი თურქეთისას, ესპანეთის გუნდი დასავლეთ გერმანიისას. მასპინძლებმა პირველ ტაიმში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეებს — 32:31 გაიმარჯვეს ესპანელებმა. მეორე ტაიმში მათი უპირატესობა უფრო გამოიკვეთა — 76:61. ამერიკელებმა დამაჯერებელი ანგარიშით მოუგეს თურქეთის ნაკრებს — 81:57.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში თურქეთის ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის გუნდი — 65:53.

ფინალური მატჩის პირველი ტაიმი ესპანელებმა ანგარიშით 53:46 მოიგეს, მაგრამ ამერიკელებმა შესვენების შემდეგ თამაშში გარდატეხა შეიტანეს და გაიმარჯვეს — 96:89. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ჭეინი (28 ქულა), დევისი (18), ტურნერი (15), დამარცხებულთაგან აბადი (21), სოლერი და ენრვარია (17-17).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ჭეინი. საუკეთესო სნაიპერთა სამეული ასე გამოიყურებოდა: რიოდერი (გფრ)—171, ,ომაკეჩი (იუგოსლავია) — 170, ჭეინი (აშშ) — 157.

ᲕᲔᲠᲐᲖ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲨᲘ

10 ივნისს ფიფა-ს თაოსნობით ციურიხში გაიმართება საინტერესო ამხანაგური მატჩი. მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები შეხვდება მსოფლიოს ექსჩემპიონს, იტალიის ეროვნულ გუნდს.

ᲓᲣᲔᲢᲘ: ᲜᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ — ᲙᲐᲠᲔᲥᲐ!

იტალიის ჩემპიონ „ნაპოლის“ ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ მათ 4 მილიონ დოლარად იყიდეს ბრაზილიის ნაკრებისა და „სან-პაულუს“ ცნობილი თავდამსხმელი კარეკა. კარეკა, რომლის კონტრაქტი ორწლიანია, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც

სნაიპერი. ასე რომ, მომავალი სეზონიდან „ნეპოლის“ მარადონასა და კარეკას სახით მართლაც მრისხანე ძალა ეყოლება.

ᲑᲠᲐᲖᲘᲐᲜ ᲛᲐᲙᲚᲘᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ

შოტლანდიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო ფეხბურთელად 23 წლის ბრაიან მაკლირი დაასახელეს.

გლაზგოს „სელტიკისა“ და შოტლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა მიმდინარე სეზონში თავისი მეორმოცე ბურთი გაიტანა „სენტ მირენთან“ მატჩში.

ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ცნობილი გახდა, რომ „კოლონის“ მესვეურებმა თავიანთ ყოფილ მეკარეს ჰარალდ (ტონი) შუმახერს ნება დართეს გამოსათხოვარი მატჩი ჩაატაროს ამ გუნდის შემადგენლობაში. „კოლონი“ შეხვედება მსოფლიოს ნაკრებს.

ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ „ᲡᲠᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲡ“ ᲛᲝᲣᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲠᲓ!

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ ლატარია „სპორტპროგნოზში“ მონაწილეობის მისაღებად შემოდის ბილეთების ძალზე დიდი რაოდენობა, იქმნება ლატარიის ტირაჟის შემდგომ დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკური სიძნელეები. სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა ქვეყნის რიგ სამმართველოებში, მათ შორის საქართველოშიც, ჩატაროს მოგების განსაზღვრის ახალი ხერხის ექსპერიმენტი.

1987 წლის 22-ე ტირაჟიდან მოთამაშე ტირაჟის გამოცხადებული შედეგის მიხედვით თავად განსაზღვრავს მოგებულ ბილეთს, შემდეგ, თვითონ, ან რწმუნებული პირის საშუალებით მოგებული ბილეთის „ა“ ნაწილს წარადგენს შესამოწმებლად და მოგებათა ოფიციალურ ცხრილში ჩასართველად.

სპეციალურ უწყისში ბილეთის ნომრის შეტანისა და მისი შტამპით დამოწმების შემდეგ იგი უბრუნდება მფლობელს, როგორც მოგების მისაღები სახუთი. მოგებები გაიცემა შემდეგი წესით: 500 მანეთამდე შემნახველ სალაროში, 500 მანეთის ზევით—სპორტული ლატარიების სამმართველოში გაფორმებული სპეცდავალებით.

მოგებული ბილეთების რეგისტრაცია იწარმოებს მიმდინარე ტირაჟის თამაშების დამთავრებისთანავე ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში, კვირა დღის ჩათვლით.

თუ განცხადება მოგების შესახებ არ გაკეთდება დადგენილ ვადაში, „ა“ ნაწილის მფლობელი კარგავს მოგებას და ამ საკითხზე არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

თუ არ გინდათ, რომ დაკარგოთ მოგება, იყავით განსაკუთრებით ყურადღებიანი. კარგად დაიხსომეთ, რომ ბილეთის სამივე ნაწილი, „ა“ ნაწილის ჩათვლით, უნდა შეიტანოს ყოველგვარი შეცდომისა და გადასწორების გარეშე. ბილეთის „ა“ ნაწილზე აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოებრივი გამავრცელებლის მიერ ბილეთის მიღებისას დასმული პირადი ნომრიანი შტამპის ანაბეჭდი, ანაბეჭდის გარეშე ბილეთი სარეგისტრაციოდ არ მიიღება.

გთავაზობთ იმ პუნქტების მისამართებსა და სამუშაო საათებს, სადაც განხორციელდება ბლანკების გაყიდვა, ბილეთების მიღება და მოგების რეგისტრაცია: სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრი („საქსპორტლოტო“, ელიავას ქ. № 26), ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის პროსპექტისა და საგურამოს ქუჩის კუთხე, №№ 12, 13, 14, 15, 16 სალაროები), სპორტის სასახლისა და ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლისნო-სპორტული კომპლექსის სალაროები, აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ № 6 მაღაზია „სხივი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 44).

სამუშაო საათებია 10-დან 17 საათამდე შაბათისა და კვირის ჩათვლით.

ტირაჟში მონაწილე ბილეთები მიიღება (ბოლო ვადა) ყოველ ოთხშაბათს 17 საათამდე, „სპორტლოტოს“ სამმართველოსთან არსებულ ცენტრში, ოთხშაბათს 18 საათამდე.

მოგებული ბილეთების რეგისტრაციის ბოლო ვადაა კვირის 17 საათამდე.

გარდა ამისა ლატარია „სპორტპროგნოზის“ ბლანკების შეძენა და შევსებული ვარიანტების ჩაბარება შეიძლება აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ შემდეგ მაღაზიებში: № 3 „საუნჯე“ (ა. წერეთლის პროსპ. № 113), № 4 „ნაპერწკალი“ (ა. წერეთლის პროსპ. № 17), № 7 „ცისკარი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, მიწისქვეშა გასასვლელი „გამარჯვების“ პარკთან), № 13 „შატილი“ (ნუცუბიძის I პლატო, 12-ა კორპუსი). მოგებული ბილეთების რეგისტრაცია აქ არ იწარმოებს.

ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით: 34-20-00, 34-38-00, 34-51-72.

ᲡᲐᲥᲡᲠᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუ სში, ხოშ. ‘ საულის ქ. 29. უე 06922